ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 23 ივნისი № 1503

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღევანდელ ნომერთან ხელის მომწერლებს ურიგდებათ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგად.» 1900 წლის მოქმედების ანგარიში.

კვირას, 24 ივნისს, ნახევარის წლის შესრულების დღეს

თავ. დავით ზაალის ძის ბარათაშვილის

გარდაცვალების შემდეგ გადახდილ იქმნება წირვა და პანაშკიდი განსვენებულის სასაფლაოზე, მამა დავითის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ნ. ა. მუღიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 11—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 სა.თამდე.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 1—2 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მადალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). (წლ.) ტელეფონი № 274.

მთავრობის განკარგულებანი

საქველ მოქმედო ლატარიების ახალი წესები.

(დასასრული *)

§ 8. ლატარიაში არ გაითამაშება—ფული, პროცენტიანი ქაღალდები, ჯვარი, ხატი და ამგვარი, უძრავი ქონება, სალატარიო ბილეთები და სპირტეულობა.

§ 9. ლატარიის განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები: ა) რომელ დაწესებულების სასარგებლოდ და რამდენის ლატარია გაიმართება; ბ) რამდენი იქნება რიცხვი და რა ღირებულობისა; გ) რამდენი ბილეთი იქმნება; დ) სად, როდის, ვისის ზედამხედველობით და რა პირობებში მოხდება გათამაშება, და ე) წესი, ადგილი და ვადა მოგებულ ნივთების მიღებისა.

§ 10. ლატარიის მოწყობისა და ბილეთების გაყიდვის გამგეობა—მოვალეობაა იმ დაწესებულებისა ან პირისა, ვისაც ნება რთვა აქვს აღებული და არ შეიძლება საკომისიოდ გადაეცეს სხვას. თუ ბილეთები გათამაშების დღემდე იყიდება, ბილეთზე უნდა იყოს აღნიშნული გათამაშების უმთავრესი პირობები.

§ 11. მოგებულ ნივთის მიღების დროს დამატებითი ფასის გადახდევინება მომგებისათვის აღკრძალულია.

§ 12. „განსაკუთრებულ პატივსადებ მიზეზების" გამო ნება-დართული ლატარია-ალეგრი, ბაზარი, სიურპრიზებიანი ბოჭკა არ შეიძლება გაიმართოს სახალხო და საბავშვო სეირნობის დროს და იმ ადგილებში, სადაც სასეირნოდ მოსულების უმეტესი წილი მუშა ხალხია. ამისთანების გამართვა შეიძლება საზოგადო სეირნობის დროს და ამასთანავე შესასვლელ ბილეთების ფასი არ უნდა იქმნეს მანეთზე ნაკლები. შესასვლელ ბილეთის ფასში არ შეიძლება შედიოდეს ლატარიის ბილეთის ფასიც.

§ 13. ყოველ სეირნობაზე, შეკრებილებაზე, ბაზარზე შეიძლება გათამაშდეს მხოლოდ ერთი ლატარია...

§ 14. ლატარიაზე ბილეთს ვერ მიჰყიდიან მცირე წლოვანებსა და ნაღვინევ კაცს.

§ 15. ლატარიის გათამაშების დროს უნდა გამოიფინოს მხოლოდ ის ნივთები, რომელიც მართლა გასათამაშებელია.

§ 16. განსაზღვრულ სეირნობის დროს ნება-დართული ლატარია სეირნობასთან ერთად უნდა გათავდეს და მისი გადატანა მეორე სეირნობისათვის ან მეორე ადგილს აღკრძალულია.

§ 17. ლატარიის გათავების შემდეგ დაწესებულებამ ან პირმა, ვისაც ლატარიის ნება-რთვა ჰქონდა აღებული, უნდა წარუდგინოს გუბერნატორს შემოსულ ფულის ანგარიში და მოწმობა იმისა, რომ ლატარიის წმინდა შემოსავალი მიიღო იმ დაწესებულებამ, რომლის სასარგებლოდაც იყო იგი გამართული.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

21 ივნისი.

პეტერბურგი. 21 ივნისს ცარსკოე სელოში, მისი უდიდებულესობის კირასირთა პოლკის საპოლკო დღესასწაულის გამო, ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით საეკკლესიო პარადი იყო გამართული.

20 ივნისს, შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების დროს დაჭრილნი და დაშავებულნი უბრალო ჯარის კაცები ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ. ეს ჯარის კაცები ამ ჟამად დაჭრილ მეომართა მარიამის თავშესაფარში იმყოფებიან.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მაზრებში ყველგან წვიმა მოვიდა; სიცხემ ძალიან დაიკლო. ყანები გამოკეთდა.

ვოლოგდა. მეორე დღეა, რაც წვიმს. ქვავის თავ-თავი ივსება; გაზაფხულის ნათესობა გამოკეთდა. თიბვას იწყებენ. ბალახი კარგია.

სარატოვი. აქა-იქ წვიმა მოვიდა. სიცხემ იკლო. პურისა და მზე-უქვრიტას ზეთის ფასმა აიწია.

ჩისტოპოლი. ქვავის ყანები ორშაბათიდან გაიჭრება; საზოგადოდ გვარიან მოსავალს ელიან; გაზაფხულის ნათესობა ცუდია; მინდვრის ბალახი გვარიანია.

კასსელი ლეიპციგის ბანკის საკონკურსო მმართველობისა და კრედიტორთა კომისიისა და დურდოს გასახმობი სააქციონერო საზოგადოების საკანტროლო საბჭოს შუა გამართულმა მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. ლეიპციგის ბანკმა დღეს დილით მოლაპარაკება შესწყვიტა. ჰფიქრობენ, რომ დურდოს გასახმობ სააქციონერო საზოგადოებას კონკურსს დაუნიშნავენო.

კონსტანტინეპოლი. აქაური ფინანსიური წრეები ცხარედ კამათობენ სალონიკ-კონსტანტინეპოლის რკინის გზის საზოგადოებისათვის დანიშნულ გარანტიის გადახდის შესახებ. ოსმალეთს ჰმართებს ამ საზოგადოების 40 ათასი გირვ. სტერლინგი. ამ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრება, რომელიც წარსულ შაბათს უნდა მომხდარიყო, ორი კვირით გადიდვა, რადგანაც ოსმალეთის მთავრობამ უარი სთქვა ხსენებულ ფულის გარდახდაზე. რკინის გზების საზოგადოებათა დირექტორებს სჯა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა აიძულონ ოსმალეთი აღასრულოს თავისი მოვალეობა რკინის გზის საზოგადოების წინაშე; ბოლოს დაადგინეს—მიჰმართონ თხოვნით უცხოელ ელჩებს, რათა უკანასკნელებმა მიიღონ ღონისძიება და გადაახდევინონ ოსმალეთის მთავრობას ხვედრი ფული.

კასსელი. დღეს გაიხსნა კონკურსი პურის დურდოს საშრობ საზოგადოების საქმეების გამო. საზოგადოების უფროსი დი-

ფელეტონი

სამეცნიერო შენიშვნები*)

I

(დასასრული)

ახალი ელემენტი რადი

როგორც ზევით ვსთქვით, ახალის ელემენტის „რადის" აღმოჩენის დროს ბ. და ქ. კიურის განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია შეუწყვეტელმა ფოსფორესცენციამ ქლორიან ბარიუმისა და ქლორიან ბისმუტისა, რომლებშიაც მათის აზრით უნდა ყოფილიყო გარეული ახალი ელემენტი; მათ შეამჩნიეს, რომ ქლორიან ბარიუმის და ბისმუტის გაწმენდისდა მიხედვით ფოსფორესცენციული ძალა მატულობდა. ამ ჯაირად გამუდმებული ფოსფორესცენცია ქლორიან ბარიუმისა და ბისმუტისა და ამასთანავე მისი ზრდა ამ ნივთიერებათა გაწმენდისდა მიხედვით ერთის მხრით ჰბადებდა კითხვას, რა ძალა იწვევს ასეთ გამუდმებულ ფოსფორესცენციას, და მეორეს მხრით კი ცხადათ სჩანდა, რომ ეს რაღაც გაუგებარი ძალა იწვევს ფოსფორესცენციას განსაკუთრებით ბარიუმის და ბისმუტის მარილებში და მაშასადამე უნდა იმყოფებოდეს იმ ახალ ელემენტში, რომელიც ბ. და ქ. კიურიმ აღმოაჩინეს ამ მარილებში. მაგრამ ამას ხომ დამტკიცება უნდოდა და აი ამისათვის ბ. და ქ. კიურიმ ისარგებლეს უკვე ცნობილ რენტგენის სხივების თვისებებით. აქ ზედ მეტი არ იქმნება მოვიხსენოთ აგრეთვე, თუ რას წარმოადგენს რენტგენის სხივები.

ვინ არ იცნობს დღეს ელექტრონის ზარის მოწყობილებას, ვის არ უნახავს სახლის რომელიმე კუნჭულში ჩამალული პატარა ჭიქის ან თიხის ქილა ნაშატირის ხსნილით, ცინკის რგვალ ჩხირით და გამომწვარ ნახშირის ნაჭრებით. ნახშირზე მიმაგრებულ სპილენძის სიმს მიჰყვება ერთგვარი ელექტრონული ძალა, მეორე სინზე კი ცინკის ჩხირზე მიმაგრებულზე მიმდინარეობს მეორე გვარის ძალა, ასე, რომ ეს უკანასკნელი თითქოს ნახშირის სიმიდან მოდიოდეს; შემდეგ ნახშირში, ნაშატირში, ცინკის ჩხირში გადის და ამაზე მიმაგრებულ სიმს მიჰყვება. უკეთ რომ ვსთქვათ, აქ ორგვარი კი არა, ერთგვარი ძალა ჩნდება ნაშატირის და ცინკის ქიმიურ დაშლის გამო, ხოლო ნახშირზე მიმდინარეობს და ცინკზე სიმს მიჰყვება. ასეთ მიმდინარეობისდა მიხედვით ცინკზე მიმავალ ძალას ეძახიან კატოდის ძალას, რაც ბერძნულად ნიშნავს წასვლას, ნახშირიდან მომავალს კი—ანოდის, რაც ნიშნავს მოსვლას. თუ კატოდის სიმს შეუერთებთ ანოდის სიმს, მაშინ ელექტრონის ძალა დაიხურება, ესე იგი ის იწყებს ტრიალს ანოდიდან კატოდისაკენ და ამ მდგომარეობაში ძალას აღარ აქვს გავლენა გარეშე საგნებზე. ასეთ პირობებში თითქოს ერთი ძალა მეორეს აქარწყლებს და ამიტომაც გარდა კატოდისა და ანოდისა სიმებზე მიმდინარე ელექტრონის ძალას უწოდებენ აგრეთვე გამოკლებით (—) და მიმატებით (+) ელექტრონის ძალასაც. ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ გვარი ელექტრონის გამჩენი ქილები ჩვენ ბევრი გვაქვს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ისეთს ძალას მივიღებთ, რომ ის სინათლედაც იქცევა და სხივებსაც ბლომად მოგვცემს, თუ ჩვენ ისეთს ელექტრონის ძალას შეუშვებთ მოკლე, რგვალ და ორივე ბოლოდგან გერმეტიულად შეკავშირებულ უჰაერო ჭიქის კოლოფში, ისე, რომ კატოდის ძალა შედიოდეს კოლოფის ერთს ბოლოში შეკავშირებულ ლითონის სიმში, ანოდის კი ამ რიგადვე მეორე ბოლოს სიმში, ჩვენ მივიღებთ კოლოფში წაალის ფრო სინათლეს. ანდამანტის მიახლოვებისთანავე ჩვენ ვამჩნევთ, რომ განათებულ ჭიქის კოლოფში ანდამანტისაკენ მიისწრაფვის მიილტვის მხოლოდ ცინკზე მომდინარე ძალისაგან წარმოშობილი სხივები: ისინი ანდამანტის მოძრაობისდა მიხედვით ხან იქით მიდიან და ხან აქეთ, ამ ანდამანტით მოძრავ სხივებს უწოდებენ სახელად „კატოდის სხივებს." ეს სხივები ჭიქის კოლოფის კედლებიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ესრედ წოდებულ რენტგენის უხილავ სხივებად და უხილავადვე მოქმედებენ ფიზიკურად და ქიმიურად სხვა და სხვა გარეშე საგნებზედ.

რაკი ბ. და ქ. კიური თავის დაკვირვებისდა მიხედვით იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ქლორიან ბარიუმში და ბისმუტში ფოსფორესცენცია სჩნდება მათში გარეულ ახალის ელემენტის ზედგავლენით და მაშასადამე ამ უკანასკნელში უნდა ეძებნათ რაღაც გაუგებარი უხილავი ძალა, რაღა თქმა უნდა, ისინი თავდაპირველად სცდილობდნენ შეედარებინათ ამ ძალის თვისებანი ამგვარისავე უხილავ რენტგენის სხივების თვისებებთან. ამისათვის ისინი ისე მართავდნენ გამოცდილებას, რომ დარწმუნებულიყვნენ, აჩენს თუ არა ახალი ელემენტი ისეთს უხილავ სხივებს, როგორიც არის

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1502.

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 1501.

რექტორი შმიდტი არ გამოცხადდა და არც არავინ იცის, სად არის. საკანტროლო საბჭოს თავმჯდომარე ზუმპფი დატუსაღებულია.

იოჰანესბურგი. იმ ბურებმა, რომელნიც თავის ნებით დამორჩილდნენ ინგლისელთ, სთქვეს, რომ დელარეი შეუერთდა კემპს, რომელიც ბანაკად სდგას რუსტენბურგთან.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. მას აქეთ, რაც ქ. ბ. ჰობჰოუზის ცნობილი გამოკვლევა გამოცხადდა, ინგლისის საზოგადოება თან და თან იცვლის შეხედულებას სამხრეთ-აფრიკის ომზე. მკითხველს ახსოვს, რასაკვირველია, ჰარისონის წერილი და ბურების მეგობრების კრება ლონდონში, მაგრამ ლონდონს გარდა ომის წინააღმდეგ ქადაგება პროვინციებშიაც დაიწყეს. ამ საინტერესო ქადაგებათა ნაწყვეტები ფრანგ. გაზ. «მატენ»-შია მოყვანილი. ერთი მქადაგებელი ამბობს·

«იქნება ფერმების დაწვა და სამხედრო ბანაკების დაწესება საჭიროც იყოს ჩვენი გამარჯვებისათვის, მაგრამ, ამსაირი საშუალებით გამარჯვებას, ისევ ისა სჯობია, რომ დავმარცხდეთ. ვერაფერი ვერ გაამართლებს იმ ქრისტიანულ ერს, რომელიც ამნაირად მოქმედობს და ვერავითარი საბუთით ვერ იმართლებს თავს ის მინისტრი, რომელიც ვერ ჰბედავს, რომ ეს უდიერობა და გულქვაობა დაჰგმოს».

«თქვენთვის ადვილია ქრისტე ირწმუნოთ,—ამბობს მეორე მქადაგებელი,—მაგრამ როგორ უნდა ირწმუნონ იმ საწყალმა დედებმა და იმ უბედურმა შვილებმა, რომლების ქრმები და მამები თავიანთ მოვალეობის აღსრულებისთვის თავსა სდებენ, რომლების სახლ-კარი დანაცრულია. ბავშვები ათასობით სწყდებიან. ყოველმა ინგლისელმა დედამ უნდა წაიკითხოს ქ. მ. ჰობჰოუზის მოხსენება მასზე, თუ ბურების დედაკაცები და ბავშვები როგორ ცხოვრობენ ბანაკებში».

ამ დღეებში გაზეთმა «ეხო»-მ რედაქცია გამოიცვალა და საპროგრამო წერილში აცხადებს: «საგარეო პოლიტიკის საქმეებში ჩვენ იმ პრინციპს აღვიარებთ, რომ სხვა ერთა უფლებისადმი პატივისცემა თვით უტილიტალური მხრივაც კი უფრო ხელს უწყობს სახემწიფოს ძლიერებასა და გამტკიცებას, ვიდრე იმპერიალიზმის იდეები, რომელსაც ეხლანდელი ჩვენი მთავრობა მისდევს».

ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი გაზეთის ახალ რედაქციას თანაგრძნობის წერილით მიესალმა. ამ წერილში დიდებული ფილოსოფოსი, სხვათა შორის, ამბობს:

«ძლიერ მოხარული ვარ, რომ «ეხო»-ს თავის საგნად სამხედრო ინსტინქტების წინააღმდეგ ბრძოლა გაუხდია. ყველა, რაც მილიტარიზმს აძლიერებს, ბარბაროსობას აღორძინებს; ყველა, რაც ზავს უწყობს ხელს, ცივილიზაციასაც ხელს უწყობს».

✡ ლონდონის ქალაქის თავმა სიტის (ლონდონის ნაწილია) ბანკირებისა და ვაჭრების პატივსაცემად ნადიმი გამართა. ამ ნადიმზედ ფინანსთა მინისტრმა გიქს ბიჩმა სიტყვა წარმოსთქვა.

«თუმცა ბევრ რასშე წინასწარმეტყველებდნენ,—სთქვა მინისტრმა,—მაგრამ ინგლისმა ადვილად შესძლო ისეთი ხარჯები, რომლებიც სულ მთლად დაჰღუპავდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინგლისი 200—250 ათას ჯარის კაცს ინახავდა, ჩინეთის ომში მონაწილეობა მიიღო, აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკაშიაც რამდენიმე წვრიმალი ომი სასურველად დაასრულა. რასაკვირველია, გადასახადების დაწესების დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ არის ხოლმე ისეთი საჭირო ხარჯებიც, რომლების წინ უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენთვის საჭიროა ძლიერი ფლოტი, საკმაო, მაგრამ არც მეტად მრავალი ჯარი, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ პირველ დაწყებითი და საშუალო სწავლის გავრცელებისათვის და სხვ. ყველა ამას დიდი ხარჯები არ დასჭირდება».

გიქს-ბიჩის სიტყვის შემდეგ ქალაქის თავმა საინტერესო ცნობები მოიყვანა ინგლისის ბანკების მდგომარეობის შესახებ: 1880 წელს 2,489 ბანკი ყოფილა (თავისი განყოფილებით), 1900 წელს-კი—6,300. ბანკებში შეტანილი ფულის ჯამი 1880 წელს—525 მილიონ გირვ. სტერ. ყოფილა, 1900 კი ეს ჯამი 845 მილიონამდე ასულა. მთელ ინგლისის ბანკებში 40,000 კაცი მსახურობს.

შეერთებული შტატები. «ფრანკ ფურტერ ცაიტუნგ»-ის სიტყვით, ჩიკაგოში წინასწარმეტყველი გამოჩენილა, რომელიც თავის თავს «ილია მეორეს» უწოდებს. ეს წინასწარმეტყველი არის ცნობილი დოქტორი დოვი, რომელიც სარწმუნოების ძალით არჩენს ხალხსა. ამას წინად დოვიმ მრავალი ხალხის წინ გამოაცხადა, რომ წინასწარმეტყველი ილია ვარო და სთხოვა ხალხსა, ეხლავე უნდა მიპასუხოთ გრწამთ ჩემი წინასწარმეტყველება, თუ არაო. მოხდა კენჭის ყრა და კრებამ დიდის ხმის უმეტესობით თანხმობა გამოაცხადა და მას აქეთ დოვი «ილია მეორეს» უწოდებს თავის თავს. წარსული კვირის სამშაბათს დოვი ძვირფასი ტანისამოსით ეჩვენა ხალხსა. თანაც ფეროვანი აბრეშუმის ქსოვილის ფრთები გაეკეთებინა. ეს ფრთები ჩერუბინას ფრთებსა ჰგვანდა. წინასწარმეტყველმა ფრთა გაშალა და რამდენჯერმე კათედრაზე ავიდა დიდის ამბითა და ისევ ჩამოვიდა, რითაც ძლიერ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. შემდეგ დოვიმ სიტყვა წარმოსთქვა. მდიდრებს მიწასთან ასწორებდა, მილიონერებს ქურდის სახელი უწოდა და გამოაცხადა, რომ განზრახვა მაქვს მილიონერების საზოგადოებათა წინააღმდეგ ბრძოლა გავმართოო. ჩიკაგოდან 50 ინგლისური მილის მანძილზე დოვიმ «სიონის წმინდა ქალაქი» დააარსა. ეს ქალაქი საოცრად სწრაფად იზრდება; ხალხი დიდ-ძალ ფულსა სწირავს წინასწარმეტყველს, ასე, რომ მალე დიდ ტაძარს ააგებს ამ ქალაქში. ამ ბოლოს დროს დოვიმ მშვენივრად შეიარაღებული და მოდუშბილი პოლკიც მოაწყო. პოლკს «სიონის პოლკის» სახელი ჰქვიან და მის დანიშნულებას დოვის დაცვა და თან ხლება შეადგენს.

საფრანგეთი. პარლამენტის კომისიამ, რომელიც დაზღვევისა და საზოგადოებრივ ქველმოქმედების საქმეებს იხილავს, საყურადღებო დადგენილება მიიღო. იქნება ამ დადგენილებამ მუშების პენსიების კანონ-პროექტის ბედზედაც კი გავლენა იქონიოს. როგორც გაზეთები იუწყებიან, კომისიამ დენი კოშენის წინადადებით დაადგინა, რომ ორი ცალკე კასსა დაწესდესო; ერთი ამათგანი მუშების შეტანილი ფულით დაარსდესო, მეორე კი—საქმის პატრონთა ფულითაო. ეს მეორე კასსა მოხუცებულ მუშებს გაუწევს დახმარებას, ვიდრე მუშების დაზღვევის საქმე საბოლოოდ არ იქნება მოწყობილიო. ამისთანა დადგენილების შემდეგ კანონ-პროექტის მომხსენებელმა გიუესსმა წერილით მიჰმართა კომისიის თავჯდომარეს და მომხსენებლის თანამდებობაზე უარი განაცხადა. კომისიის დადგენილება ჯერ საბოლოო არაა, რადგანაც მიღებულია ისეთ სხდომაზე, რომელზედაც 33 წევრთაგან მხოლოდ 10 წევრი იყო. გაზეთები უამისოდ ამბობდნენ, რომ მრავალი სხვა და სხვა კონტრ-პროექტი და წინადადება ძლიერ აბრკოლებს მთავრობის კანონ პროექტის განხილვასაო. ასე, მაგალითად, დეპუტატთა პალატაში, მირმანი თხოულობდა, რომ დაზღვევის ხარჯების დასაფარავად განსაკუთრებული «თანხმობის გადასახადი» დაწესდესო, სოციალისტი ალემანი—შორეული ნათესაობის მიერ მიღებულ მემკვიდრეობის გადასახადი დავაწესოთო, კასტილენი—ადგილ-მამულს ბაჟი დაედოსო, გუტანი—ღვინის სახემწიფო მონოპოლიასაო, რომელიც ამ აზრით უნდა დავაწესოთო და სხვა და სხვა...

—მინისტრების საბჭოში პრეზიდენტმა ლუბემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც დეპარტამენტის საბჭოებში წევრების არჩევანი 21 ივლისისთვისაა დანიშნული.

სამხრეთ აფრიკა. ევროპაში ბურების რაზმის უფროსად ნამყოფი ვან-დიერი მოსულა. ამბობენ, რომ განგებ არის გამოგზავნილი დოქტორ ლეიდსთანაო. ვან-დიერს ბოტას ჯარში უმსახურნია და ამიტომ ბურები მთავარ-სარდლის განზრახვა და აზრები კარგად [illegible]. ვან-დიერი გადაჭრით უარ ჰყოფს იმ ხმას, ვითომც ბოტას ბრძოლის მოსპობა ჰსურდეს და ზავის ჩამოგდება უნდოდეს. რასაკვირველია, ბოტას ისე ძლიერ არა სწადიან-რა, როგორც ზავის ჩამოგდება, მაგრამ ზავი უსათუოდ ბურებისათვის საპატიო პირობით უნდა იყოს შეკრული ესე იგი:

1) ტრანსვაალს და ორანჟეს რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა უნდა დაუბრუნდესთ.

2) კაპის ახალშენის მცხოვრებლებს, რომლებმაც ბურებს დახმარება გაუწიეს, სრული ამნისტია უნდა მიეცესთ.

ბოტა ნამდვილი გენერალისიმუსია,—ამბობს ვან-დიერი,—ყოველაფრით ნიჭიერი სარდალია და მშვენიერი ორგანიზატორი.

ვან-დიერი ამბობს, რომ ბურები ყოჩაღად არიან და ამ ბოლოს დროს კარგად იმარჯვებენო.

✡ «დეილი მეილ»-ს ცნობები მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ინგლისის იომანრის ჯარი სრულებით უვარგისი და გამოუსადეგარიაო. ერთი აფიცერი სწერს, რომ იომანრის სადარაჯო რაზმები, რაწამს ადგილის დასახვედრად გაიგზავნებიან, მაშინვე ბურებს უვარდებიან ხელშიო. ბურები თოფებს ართმევენ და ისე უშვებენო. ბურების ერთი უფროსი მაისში სწერდა პრეზიდენტს შტეინს, რომ დიდძალ სამხედრო სურსათს მიწაში ვფლავთ, რადგან შეუძლებელია ყველაფერი, რასაც ინგლისელებს ვართმევთ, თან ვატაროთო. ერთი ინგლისელი ჯარის კაცისათვის, რომელიც სამ-ჯერ დაუჭერიათ ტყვედ, ბურებს სამი თოფი, სამი ცხენი, სამი უნაგირი და 450 პატრონი წაურთმევიათ.

ახალი ამბავი

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ხუთშაბათს, 14 ივნისს, კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი წარუდგა დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს.

◆ ხვალ, დილის 11 საათზე, „ნაძალადევში“ გაიხსნება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მესამე ბიბლიოთეკა.

ეს ბიბლიოთეკა სწორედ შესაფერ ადგილას იხსნება და ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას მის დამაარსებელთ.

◆ „ტფილ. ლისტოკ“-ში ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს: „ჩვენ გვატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ საკითხი სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის შესახებ, რომელიც ტფილისშია, შუა ბაზარში, გადაწყდა იმ გვარად, რომ ეს ეკკლესია ცნობილ იქმნა ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიად, სომეხ-კათოლიკეთათვის კი უნდა

რენტგენის, ნივთიერების გამსჭვინავი სხივები. მათ ჩაჰყარეს პატარა ქიქის მილში ქლორიანი ბარიუმი ცოტაოდენის რადით და მილი მოათავსეს ერთის მხრით ქიქის და მეორეს მხრით კი ლითონ-ალიუმინის შუა; როდესაც კოლოფს უყურებდნენ ქიქის მხრით, რასაკვირველია, ამჩნევდნენ კოლოფში მყოფ მარილის ფოსფორესცენციას; ალიუმინის მხრიდან კი არავითარი სინათლე არ მოსჩანდა, მაგრამ, როგორც კი ალიუმინის წინ დასდგამდნენ ბარიუმიან ბისმუტის მარილებით გაჟღენთილ ფარდას, ეს უკანასკნელი იწყებდა ფოსფორესცენციობას. ამ გამოცდილებამ ნათლად დაამტკიცა, რომ ახალი ელემენტი უშვებს უხილავ სხივებს, რომლებიც უხილავად გასჭვივიან ალიუმინში და, შეხვდებიან რა ბარიუმის ან ბისმუტის მარილებს ალიუმინის წინ დადგმულ ფარდაში, აჩენენ მათში ფოსფორესცენციას.

ფოსფორესცენციის მოვლენაში ეს სხივები მოქმედებენ ისე, როგორც სხვა რომელიმე მნათობი ნივთიერების სინათლე, იმ გასაკვირველ და ჯერ-ჯერობით სრულებით გაუგებარ განსხვავებით-კი, რომ ისინი მოქმედებენ მუდამ, განუწყვეტლივ. ასეთ საოცარ მუდმივ მოქმედებას ვერაფერი პირობა ვერ აფერხებს: რადით-მომქმედ ქლორიან ბარიუმს და ბისმუტს, აღმოჩენის აქეთ, თითქმის წელიწად ნახევარი ინახავდნენ სიბნელეში; აცივებდნენ მათ—150° გრადუსამდე, ახურებდნენ 700°—800° ქლორიან ბარიუმის გალღვობის ტემპერატურამდე, მაგრამ ფოსფორესცენციის ძალა მაინც პირვანდებული რჩება. რადის სხივები წააგავს კატოდის სხივებსაც თავისის ანდამატოვანობით ე. ი. მათ ანდამანტის შემწეობით, საიდაც გინდათ, იქით წაიყვანთ; მაგრამ სანამ ამის დასამტკიცებელ გამოცდილებას აღვწერდეთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი კიდევ ფრიად გასაკვირველი თვისება რადის სხივებისა. ამ გასაკვირველ თვისებას მშვენიერად გაგვითვალისწინებს შემდეგი გამოცდილება. მოიგონეთ ელექტროსკოპი, რომელიც წარმოადგენს ქრაქის კოლოფს ცერზე დასმულ ლითონის ლურსმნით; უკანასკნელის ზევითა ბოლოზე მიმაგრებული არის ორი მოგრძო, მეტის-მეტად მჩატე ოქროს ძაფები; ქვევითა ბოლოს კი შეგვიძლია შევეხოთ როგორიმე ელექტრონიანი საგნით და ამნაირად შევუშვათ ელექტრონის ძალა ლურსმანში, მაშასადამე ოქროს ძაფებშიაც.

ეს უკანასკნელები ელექტრონის ზედ-გავლენით ერთი მეორეს დაშორდებიან და მაღლისაკენ ავარდებიან. სანამ ძაფებში ელექტრონი იმყოფება, ისინი რჩებიან ერთხელავე მიღებულ მდგომარეობაში; ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ელექტროსკოპს ერთის მეტრის მანძილზე მიუახლოვეთ ელემენტი რადი, გრამის მეასედი ნაწილი ქლორიან ბარიუმში არეული და თქვენ დაინახავთ, რომ ოქროს ძაფები სრულებით ძირისაკენ დაეშვებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათში ელექტრონის ძალა ისევ იმყოფება. ეს გამოცდილება ნათლად ჰხსნის, თუ რაში მდგომარეობს მეორე გასაკვირველი თვისება ახალის ელემენტის „რადისა“. სჩანს, რომ რადის სხივები გამსჭვალულია რაღაც ელექტრონის გამაუქმებელ ძალით, რის გამოც ოქროს ძაფები ისევ ძირს ეშვებიან. გასაკვირველი ის არის, რომ რადის ერთ ბეწვა, გრამის მესამედ ნაწილში, საიდგან მოიპოვება ისეთი ძალა, რომელიც ერთის მეტრის მანძილზედ ასე ცხადათ აქარწყლებს ელექტრონის ძალას ელექტროსკოპში, თუ ასეთი ცოტაოდენი ნივთიერება ასეთს ძალას იჩენს, მაშ რაღა უნდა ჰქნას, ვსთქვათ, ერთმა ფუთმა, მაშინ ხომ შეუძლებელი შეიქმნება იმის ახლომახლო ელექტრონით მოქმედება. მართალია, ასეთისავე თვისებისა არიან რენტგენის სხივებიც, მაგრამ რადის სხივებში ელექტონის გამაუქმებელი ძალა ხომ მუდმივი დაუშრეტელია და წარმოსდგება თვით რადიდგან და არა ელექტრონისავე ბატარეებიდგან, როგორც რენტგენის სხივები. ეხლა მოვიყვანოთ ის გამოცდილებაც, რომელიც ამტკიცებს რადის სხივების ანდამატოვანობას. ამისათვის წარმოიდგინეთ იგივე ელექტროსკოპი მაღლა აწეულის ოქროს ძაფებით. ვსთქვათ, მიუახლოვეთ ელექტროსკოპს რადი და ოქროს ძაფებიც ძირს დაეშვა; თუ ეხლა ჩვენ რადზედ ვიმოქმედებთ ანდამატის მიდამოთი ე. ი. იმდენად მივუახლოვებთ მას მაგნიტს, რამდენზედაც შეუძლია ამ უკანასკნელს იჩინოს თავისი ძალა, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ოქროს ძაფები ისევ ზევითკენ ავარდებიან, ცხადია, ანდამატმა წარიტაცა რადის უხილავი სხივები და ამიტომ ელექტრონმა ისევ იჩინა თავისი ძალა; მაგნიტის მოშორების შემდეგ რადის სხივები ისევ ძირს ჩამოუშვებენ ოქროს ძაფებს.

ამნაირად, როგორც კატოდის, ისე რადის სხივებიც თითქოს რაღაც ნივთიერებას წარმოადგენენ: ისინი მიჰყვებიან და მოჰყვებიან ანდამატს, როგორც რკინა ან სხვა რამ ლითონი. კატოდის და რადის სხივების ასახსნელად მეცნიერებმა ახალი გიპოტეზა წარმოსთქვეს: ნივთიერებას, გარდა ცნობილ სამ მდგომარეობისა, მეოთხე მდგომარეობაც შეუძლიან მიიღოს. ეს მდგომა-

აშენდეს სხვა ეკკლესია. გარდა ამისა, ტფილისში დაარსებულ იქმნა სასულიერო მმართველობა, რომელსაც ჩაჰბარდება კავკასიის სომეხ-კათოლიკეთა საქმეების მართვა“.

✦ **ოდესის უნივერსიტეტში** წელს დაუმთავრებია კურსი სულ 9 ქართველს: ალ. მდივანს—ფილოლოგიურზე, იას. ბაქრაძეს, მიხ. კობიაშვილს, რეჯ. ნიჟარაძეს, ფურცელაძეს და გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის—ჯურიდიულზე, ვლ. კორძაიას, ს. მდივანს და ს. გულისაშვილს—ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე.

✦ ხვალ, 24 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ჟურნალ „კავკაზ. ვესტნ.“-ის რედაქციაში დანიშნულია კრება იმ კომისიისა, რომელსაც დაევალა გადასინჯვა „კავკასიის პრესსის მოღვაწეთა **დამხმარებელ კასსის**“ წესდების პროექტისა.

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს გაეგზავნა 3000 მანათის ღირებულობის წიგნი **საეკლესიო სკოლებისათვის** დასარიგებლად; ამას გარდა, საბჭოს ფულად მიეცა 3000 მან. სასწავლო საგნებისა და ნივთების შესაძენად იმავე სკოლებისათვის.

✦ გამოსულა საფრანგეთის **ცნობილ ლინგვისტის ტომსონის** დიდი შრომა—«Remarque sur la parenté de la langue Arusque», რომელშიაც ავტორი ამტკიცებს ეტრუსკებისა და კავკასიურ ენების ნათესაობას.

✦ ოთხშაბათს, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა კავკასიის **გამოფენის გამმართველ უმთავრეს კომიტეტს** ზოგიერთი მიმდინარე საქმეების განსახილველად. გამოფენის კომისარმა თავ ი. ზ. ანდრონიკაშვილმა მოახსენა კომიტეტს, რომ საჭიროა გადიდოს სარჯთაღრიცხვის გარეშე დამატებით ფული, მაგ., გამოფენის მოწყობისათვის კიდევ [illegible]000 მან., განათებისათვის—2000 მან., გამოფენის ადმინისტრაციისათვის 3000 მან. და ექსპონატების შესაკრებად და ტფილისში გამოსაგზავნად გუბერნატორებს—ას ასი მანეთი. კომიტეტმა დაადგინა: შეტანილ იქმნეს დამატებითი ხარჯთაღრიცხვაში ზემოდ აღნიშნული ფულები. კომიტეტმა აგრეთვე მიიღო კომისარის მოხსენება გამოფენაზე გასართობების გამართვის შესახებ. ამ მოხსენებით, აღნიშნული გასართობები უნდა მოაწყოს პაებით შემდგარ ამხანაგობამ, პაი 100 მან. ღირება. შემდეგ კომიტეტმა დაადგინა—მადლობა გამოეცხადოს ინჟენერ გ. ე. ფრიდონოვს და აგრონომს მ. ე. ფრიდონოვს გლეხექსპონენტების დასაჯილდოებლად. კომიტეტმა, თანახმად სხდომის თავმჯდომარის ბ-ნ სულტან-კრიმ-გირეის წინადადებისა, დაადგინა, შუამდგომლობა აღძრან მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის წინაშე, რათა თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს კავკასიის გამოფენა და აგრეთვე მოწვეულ იქმნას სტუმრებად გამოფენაზე მიწად მოქმედების მინისტრი ა. ს. ერმოლოვი, მისი ამხანაგი სტევენი, ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე და მისი ამხანაგი ვ. ი. კოვალევსკი. დასასრულ ამორჩეულ იქმნა გამოფენის ჟიური. თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ს. ს. ჰაკკელი, ხოლო წევრებად: ბ-ნი ვ. გაბაშვილი, შმერლინგი, კანდაუროვი, შიმკევიჩი, ტატიშჩევი, ვეისენგოფი და გამოფენის კომისარი თავ. ანდრონიკიშვილი.

✦ ამას წინად **ქალაქის სახელოსნო გამგეობაში** ყრილობა ჰქონდათ ტფილისის ხელოსნებს იმის მოსალაპარაკებლად, თუ რა მონაწილეობა მიიღონ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაში. ამ საკითხის გამოსარკვევად ყრილობაზე ამოურჩევიათ კომისია, რომელსაც გამოუთქვამს ის აზრი, რომ ხელოსნები სიღარიბის გამო ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებენ გამოფენაში, თუ ადგილი უფასოდ არ დაუთმეს მათ. ამის გამო ტფილისის სახელოსნო გამგეობამ მიჰმართა გამოფენის გამგე-კომიტეტს და სთხოვა უფასოდ დაუთმონ წელს გამოფენაზე ხელოსნებს ადგილი ექსპონატების გამოსაფენად. ამასთანავე სთხოვეს ტფილისის ქალაქის მოურავს დაეხმაროს ამ საქმეში ხელოსნებს კომისარიატთან.

✦ გუშინ ტფილისის საკომერციო ბანკმა გაუგზავნა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტს 500 მ. **გამოფენის შემწეობად**.

✦ კავკასიის **სამეურნეო სამრეწველო გამოფენის** კომიტეტმა 20 ივნისის სხდომაზე დაადგინა—მადლობა გამოეცხადოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს და ბაქოს ქალაქის თვით-მართველობას, პირველს 1000 მანეთისა და მეორეს 5000 მანეთის შემოწირვისათვის გამოფენის მოსაწყობად.

ხვალ, 24 ივნისს, მუშტაიდში დანიშნულია **სახალხო სეირნობა**, რომლის შემოსავალი გადაიდება ტფილისში ავადმყოფ პიუტყვთათვის საავადმყოფოს დასაარსებლად.

✦ **სოდანლუღის კატასტროფის** საქმის გამოძიება მიანდეს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს. ტეხნიურ დათვალიერების მიხედვით, დამნაშავე მეისრე უნდა იყოს.

✦ დღეს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დანიშნულია ქალაქის მამულების **საჯარო ვაჭრობა**.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო განიხილავს კავკასიაში **საგუბერნიო სამმართველოს რეფორმის** პროექტს.

✦ გზათა სამინისტროს უკვე წარედგინა საგანგებო კომისიის პროექტი, რომლითაც **სახელმწიფო სამსახურის უფლებანი** უნდა მიენიჭოს რკინის გზების ყველა მოხელეთ. პროექტს განიხილავს მინისტრთა საბჭო, შემდეგ ის წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს, რომ ქალაქის **მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა** განხილულ იქმნეს საბჭოში ნოემბერში, როგორც ამას კანონი თხოულობს, და დროზედ წარმოუდგინონ დასამტკიცებლად გუბერნატორს.

✦ ხუთშაბათს, 21 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა **ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას**. კომისიამ 8 საქმიდან მხოლოდ ორის განხილვა მოასწრო; პირველად კომისიამ განიხილა ტფილისის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის წინადადება, რომ ქალაქის სასწავლებლების ექსპონატები მოთავსებულ იქმნენ სახალხო განათლების სამინისტროს პავილიონშიო, და დაადგინა: რადგანაც ქალაქმა 5000 მან. გადასდო საკუთარის პავილიონის ასაგებად, ამიტომ ქალაქის სკოლების ექსპონატები ქალაქის საკუთარ პავილიონში იქმნენ გამოფენილნიო.

✦ ხუთშაბათს, 21 ივნისის სხდომაზე, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ **პუშკინის მეორე საქალაქო სკოლის** გამგედ ამოირჩია ქ-ნი კაპანაკოვისა.

✦ რადგანაც ზოგიერთი სახლის პატრონები, მიუხედავად სავალდებულო დადგენილებათა, არ აკეთებენ თავიანთ სახლების წინ **ტროტუარებს**, პოლიციამ გადასწყვიტა პასუხის გებაში მისცეს ისინი და თვით გააკეთოს ტროტუარები მათის ხარჯით.

✦ **შირაქის საძოვარ ადგილების** მოწესრიგების მუშაობა შესწყდა დიდის სიცხეების გამო. ხელ-ახლა შეუდგებიან მუშაობას შემოდგომაზე.

✦ ტფილისის **ქალაქის საყასბოების** შეკეთების საქმე საჯარო ვაჭრობით დარჩა ჩიჯავაძეს, რომელმაც მოითხოვა უმცირესი ფასი—3250 მ.

✦ **ქალაქის პროფესიონალურ დედათა სკოლაში** გამოსაცდელი ეგზამენები მოხდება დღეს, 23 ივნისს და ორშაბათს, 25 ივნისს.

✦ **ქალაქის სახელოსნო სკოლის** ხარჯთ-აღრიცხვიდან სჩანს, ხსენებულ სკოლის მომავალ 1902 წლის განმავლობაში ხარჯი ექნება—მასწავლებლებზედ და მოსამსახურეებზე 22,156 მან. სხვა ხარჯები 11,756 მ. სულ—33,912 მ.

✦ დიდუბის საქალაქო **სასწავლებელი**, ქალაქის სკოლების გამგე-კომისიის დადგენილებით, გადატანილ იქმნება უმჯობეს ახალ შენობაში ნოვაკონტის სახლში.

✦ ტფილისის მცხოვრებს ელენე კოვაჩევს განუცხადებია პოლიციის მეათე ნაწილში, რომ ნაშუადღევის 4 საათზედ ერთი ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც ზედ ჰქონდა ცის-ფერი წამოსასხამი და ეხურა მიხაკის ფერი შლიაპა, მიდიოდა წყლის პირის ქუჩაზედ და როგორც კი მიუახლოვდა მტკვარს, გადაეშვა წყალში და დაიხრჩოვა. პოლიცია შეუდგა დამხრჩვალის ძებნას და მისი ვინაობის გაგებას, მაგრამ ჯერ ვერაფერი ვერ გამოურკვევიათ.

✦ ქალაქის **ღამის თავ-შესაფართა** გამგე კომისიამ განკარგულება მოახდინა ამ ზაფხულ არავინ დააყენონ თავ-შესაფრებში. სხვათა შორის, დიდუბის თავ-შესაფარიდან გამორეკეს იქვსი ოჯახი, სოფლიდან პასტერის სადგურზე ასაცრელად ჩამოსული. საწყლებმა, არ იციან, სად წავიდნენ და ვის მიჰმართონ.

✦ მიჯნის (მეჟევაია) ქუჩის **სახლის პატრონებმა** სთხოვეს ქალაქს, აიღონ მიწა ხსენებულ ქუჩის გასასწორებლად მთაწმინდის აღმართიდან სასამართლო დაწესებულებათა შენობამდე.

✦ სოფ. ახმეტიდან (თიანეთის მაზრა) გვწერენ: „9 ივნისს აქ ერთი **უბედურება დატრიალდა**. ახალგაზდა მეშვიდე კლასის გიმნაზიის შეგირდი ცისკარაშვილი სოფ. ალვანშიდან მოვიდა ახმეტაში თავის ბიძაშვილების სანახავად. მოსვლისთანავე მოუკითხავს თოფი და იქვე ეზოში მტრედებისთვის სროლა დაუწყია. ერთი კიდევაც უსროლია, მეორეთ გატენის დროს ჯერ ფისტონი დაუდვია თოფზე და მერე დაუწყია გატენვა. ერთბაშად თოფი გავარდნილა და მოხვედრია შიგ მარცხენა გვერდში. საწყალმა სამჯერა კიდევ მოასწრო „მიშველეთო“ და მერე სული დალია“.

✦ სადგურ ბაქოდან გვწერენ: „21 ივნისს, ღამის მეორე საათზე, ვაგონების მცველ ყარაულს აბრდულა რახიმ იბრაგიმს ლიანდაგზე მიმავალს დაეცენ 4 უცნობი კაცი. მარცხენა ხელში **დასჭრეს**, ხანჯალი წაართვეს და დაიმალნენ“.

✦ **ორენბურგის გუბერნიის**, ს. შაპოვკას გლეხის ქალმა დარია აფონჩინკინმა გამოუცხადა პოლიციას, რომ ვლ. ალ. ფონ ფიშერმა, რომელთანაც აფონჩინკინა მზარეულად იყო, სცემა მას და გააუპატიურა იგი. საქმე გამომძიებელს გადასცეს.

რეობა არის სხივოსანი მდგომარეობა ნივთიერებისა და ამ მდგომარეობაში უკანასკნელს შეუძლია ისეთივე ძალა იჩინოს, როგორც—სიმაგრის, სითხის და გაზიურ მდგომარეობაშიაც. ამის დასამტკიცებლად მეტად საყურადღებოა შემდეგი გამოცდილება: კატოდის სხივების მისაღებ ქიქის უჰაერო კოლოფში მოწყობილი არის რელსები, რომლებზედაც მოთავსებულია პაწაწინა სრიალა კოლოფი. როდესაც ასეთ ქიქის კოლოფში შეუშვებთ ელექტრონს, გაჩნდება კატოდის სხივები, რომლებიც ანდამანტის ზედ გავლენით ამ უკანასკნელისაკენ წამოიწევიან და ამ მოძრაობის დროს რელსებზე სრიალა კოლოფსაც ამოძრავებენ. აქ, რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება, რომ სრიალა კოლოფზე ანდამანტი არ უნდა მოქმედებდეს ე. ი. ისინი გაკეთებულ უნდა იქმნან ისეთ ნივთიერებისაგან, რომელიც არ ექვემდებარება ანდამანტის ზედ გავლენას. დასასრულ, რომ რადის სხივების რენტგენის სხივებთან შედარება გავათავოთ, ვიტყვით კიდევ, იმას, რომ პრაქტიკულის მხრით რადის სხივებს დიდი უპირატესობა უნდა მიეცეს რენტგენის სხივებთან შედარებით, რადგან, როგორც ზევითაც ვსთქვით, ისინი არ მოითხოვენ რენტგენის სხივებისამებრ ელექტრონის ბატარეებს, არამედ მუდამ და უბრალოდ მომდინარეობენ თვით ახალ ელემენტ რადიდგან; ამასთანავე ისიც უნდა მიუმატოთ, რომ საგნების გასჭვინვა რადის სხივებს ისეთისავე ძალით და სისწრაფით, თუ არ უფრო მეტად, შეუძლიათ, როგორც რენტგენის სხივებს, მაგალითად, თუ გინდათ ხელის ჩონჩხი დაინახოთ, ხელს დაიჭერთ რადის ზევით, ხელს ზევით-კი მოათავსებთ როგორსამე თეთრ ფარდას. ასე უბრალო პირობებში რამდენისამე წუთის განმავლობაში თქვენ დაინახავთ თქვენის ხელის ჩონჩხს თეთრ ფარდაზედ. ან კიდევ შემდეგი მაგალითიც: სქელ ტყვიის დაფაში ამოჭრილი არის პატარა სვრეტილა, რომელშიაც ჩამაგრებულია სპილენძისაგან გაკეთებული ასოები, ანუ ამოჭრილი მხატვრობა; სპილენძზედ დასდებენ ცოტაოდენ გრამის მეათედ, მეასედ რადიას და ტყვიის დაფის ქვეშ კი სქელ ქაღალდში გახვეულ ფოტოგრაფიულ ფირფიტას, რამოდენიმე წუთის (საკმარისია ორი წუთიც) შემდეგ სპილენძის წარწერა აღიბეჭდება ფოტოგრაფიულ ფირფიტაზედ. ასე რომ რადის სხივები რამდენიმე თვალის დახამხამებაში ასწრებენ სქელ ქაღალში გასვლას და ფოტოგრაფიულ ეფექტის მოხდენას. რასაკვირველია, ამ ცოტაოდენ დროის განმავლობაში ფოტოგრაფიულ ფირფიტაზედ მოქმედებენ უფრო ენერგიულად მხოლოდ რადის ის სხივები, რომლებმაც გაიარეს სპილენძის და ტყვიის ამოჭრილი ადგილები; დანარჩენმა სხივებმა კი, რომლებიც ყოველის მხრით და მიმართულებით (ასეთი სხივოსნობა რადის სხივების თვისებას შადგენს) მომდინარეობდნენ, სპილენძზედ დადებულ რადიდგან ვერ მოასწრეს ასე ჩქარა და მძლავრად მოქმედება სპილენძში და ტყვიაში გასვლის შემდეგ უფრო ხანგრძლივის მოქმედების შემდეგ, მთელს ფოტოგრაფიულ ფირფიტასაც მშვენივრად დაეტყობა რადის სხივების ქიმიური ზედ გავლენა. როგორც ფოტოგრაფიულ ფირფიტზე, აგრეთვე სხვა ნივთიერებაზედაც აქვს გავლენა რადის სხივებს. ისინი, მაგალითად, ისე მოქმედებენ ორგანიულ ნივთიერებაზე, როგორც მაღალი ტემპერატურა. ხანგრძლივის მოქმედების შემდეგ რადის სხივები ორგანიულ ნივთიერებაზე შავს დაღს აჩენს, ხის ფოთოლს სიმწვანეს უკარგავს და შემოდგომის ფოთოლს ამზგავსებს.

ამნაირად დიადმა ქ. და ბ. კიურის აღმოჩენამ დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ წუთისოფელში მოიპოვება ისეთი ნივთიერებაც კი, რომელსაც შეუძლია მისცეს ადამიანს დაუშრეტელი ხილულის და არა ხილულის მაჩვენებელი ძალა. მართალია, ჯერ ეს ელემენტი ძალიან ძვირად მოიპოვება ჩვენს მიწაზე და ვერც ვიცნობთ მას კარგად, მაგრამ, იმედია, ყოვლის შემძლე მეცნიერება ჯეროვანად შეისწავლის მას და მის უხვ წყაროსაც მიაგნებს, რომ ამნაირად დიდებულმა მეოცე საუკუნემ ეს გასაოცარი რადი, ვინ იცის, ყველასათვის ხელმისაწვდენი გახადოს. შესაძლოა ახალმა ელემენტმა, რადიმ, სხვა ქიმიურ მარილებთან შეზავებით *) ქლორიან ბარიუმზე და ბისმუტზე უფრო ძლიერი სინათლე მოგვცეს და მაშინ ხომ საკმარისი იქნება ის სხვა რამ რადიანი მარილი შუშაში ჩავყაროთ და ამნაირად დაუშრეტელ სინათლით სახლების განათებაც შესაძლო გახდეს. ასეთი ბედნიერება, ვინ იცის, როდის ეწვევა კაცობრიობას და დღეს-დღეობით კი ყველას გვმართებს დაფაცურება: შესაძლოა ეს გასაოცარი ნივთიერება ჩვენს მადნებით მდიდარ სამშობლოშიაც მოიპოვება.

საბა—ა. **კლდიაშვილი**.

---

*) ჯერ-ჯერობით ასეთი ქიმიური გამოკვლევები შეუძლებელია, რადგან ახალი ელემენტი „რადი“ ქიმიურ ლაბორატორიებისათვის სულაც არ მოიპოვება; ფიზიკურ კაბინეტებში მამასისხლად გრამის მეასედი ნაწილები ძლივს შეიძინეს და ისიც ბარიუმის და ბისმუტის მარილებში გარეული.

◆ რკინის-გზის სახელოსნოების უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ-დღე ტფილისის სადგურის სახელოსნოებისათვის საჭირო წყალი მცხეთიდან მოიტანონ ორი ქვაბით.

◆ სად. ბათუმიდან გვწერენ: „21 ივნისს, მესურე ნიკოლოზ ტყებუჩავა მიდიოდა უმთავრეს ლიანდაგის ახლო, ამ დროს მას დაეწია მატარებელი № 4, წააქცია იგი და ხელი და ფეხი დაუშავა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ქარელიდან გვატყობინებენ: „21 ივნისს, მატარებლის (№ 409) ერთი ვაგონს (№ 338207) ღერძი გაუტყდა და ლიანდაგიდან გადავარდა. კაცი არავინ დაშავებულა.

◆ 21 ივნისს, ნაშუაღამევის 2 საათზე, პოლიციის მოხელემ შეიპყრო გოლოვინის პროსპექტზე მიმავალი, რაჭის მაზრის მცხოვრები, სოლომონ გრიგოლის ძე ჰელიძე, რომელსაც საბანი მოეპარა მანუკა გასპარიანცისათვის.

◆ 21 ივნისს, შუადღისას, პოლიციის მე-10 ნაწილში, ანდრეევის ქუჩაზე, სახლი № 36, რკინის გზის მემანქანის თანაშემწეს ანტონ ოსიპის ძე სამსონოვიჩს იჭვის გამო რევოლვერით თავში დაუჭრია ანნა მარკელას ასული დიაკოვისა და შემდეგ ჯერ რევოლვერით უცდია თავის მოკვლა და მერე მაგრატლით გამოუჭრია ყელი. დაჭრილები ორივე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. სამსონოვიჩს და დიაკოვისას წინეთ კავშირი ჰქონიათ, შემდეგ დაშორებულან. ეხლახან დიაკოვისა უნდა ქმარს გაჰყოლოდა და სამსონოვიჩს ეს ვერ აუტანია და ზემოხსენებული ამბავი ჩაუდენია. დიაკოვისას არა უშავს რა, სამჩონოვიჩის მდგომარეობა კი საეჭვოა.

პრესსა

„მოსკოვ. ვედომ“. ეხლა გერმანელთ ეცნენ. გაზეთი სწუხს და სჩივის იმისგამო, რომ რუსეთის დასავლეთ საზღვარზე გერმანელები სცხოვრებენო. კატკოვისეული გაზეთი აფრთხილებს მთავრობას და ამბობს, რომ საშიშია სახელმწიფოსთვის, რომ მის საზღვარზე არა რუსები სცხოვრებენო. ხოლო, რადგანაც თითქმის ყველა განაპირა ადგილებში არა რუსები სჭარბობენ, „მოსკოვ. ვედომ“-მა უნდა მოითხოვონ ყველა არა რუსთა გადასახლება თავიანთ მიწა-წყალიდან. ასე გამოდის ლოღიკით!

> „დასავლეთის საზღვარზეო, სწერს გაზეთი, გერმანელი მეტი სცხოვრობს, ვიდრე რუსიო. უმთავრესად ეს ასეა პოლონეთში და ბალტიის მხარეში. პოლონეთის ათ გუბერნიაში ათას რუსზე 1040 გერმანელი მოდის; ხოლო ბალტიის მხარეს ათას რუსზე 2000 გერმანელი მოდის“.

მერე, რა არის გასაკვირველი, რომ ბალტიის მხარეში, გერმანელთა ძველის დროის სამფლობელოში, გერმანელთა რიცხვი მეტია?! არაფერი, მაგრამ იქვიან გაზეთს ყველგან მტერი ეჩვენება და მოუსვენარად არის.

> „ჩვენ არ გაგვიკვირდებაო, ამბობს ამის გამო გაზეთი „ნოვოსტი,“ რომ „მოსკოვ. ვედომ.“ მალე მიაქცევენ მთავრობის ყურადღებას იმაზე, რომ ფინლიანდიაში ფინნები სცხოვრობენ, პოლონეთში პოლონელები, კავკასიაში ქართველები, პოლტავაში მალოროსსები და სხვა. სჩანს, მოსკოვის გაზეთს ჰსურს, რომ არა რუსი აღარ ცხოვრობდეს რუსეთის იმპერიაში, არამედ გადასახლებულ იყოს სადმე ცის სივრცეში.“

⁂

გაზეთი „ოდესკ. ნოვოსტი“ საყურადღებო საკითხის შესახებ იწყებს სჯა-ბაასს. გაზეთი ჰკითხულობს, ექნება თუ არა მომავალ სასკოლო რეფორმას დიდი მნიშვნელობა რუსეთის ცხოვრებაშიო? გაზეთი ამტკიცებს, რომ ამ რეფორმას არ ძალუძს ეპოქა შეჰქმნას რუსეთის ისტორიაშიო, როგორც, მაგალითად, გლეხთა განთავისუფლების რეფორმამ შექმნა ახალი ხანაო. რეფორმას მაშინ აქვს დიადი მნიშვნელობა, როდესაც იგი ეხება მთელს ცხოვრებას, მთელს წყობილებას. გლეხთა განთავისუფლებას მოჰყვა სხვა რეფორმებიც, რომელთაც შესცვალეს რუსეთის ძველი წეს-წყობილება მრავალმხრივ. უამისოდ მარტო საგლეხო რეფორმა ვერ შეჰქმნიდა ეპოქას. ეხლა ჩვენ განვიზრახეთ სწავლა განათლების რეფორმა, მაგრამ უყურადღებოდ ვსტოვებთ ცხოვრების სხვა მხარეებსაო. ამას მოჰყვება ის, რომ ან სასკოლო რეფორმა დაწვრილმანდება, ან და ახალი სისტემა სკოლისა მაგარ ფესვებს ვერ გაიდგამსო. ამიტომ გაზეთი სკეპტიკურად უყურებს მომავალ სასკოლო რეფორმას და ამბობს, რომ, თუ არ მოხდა საერთო საზოგადოებრივი რეფორმები, მარტო სწავლა-განათლების საქმის რეფორმას დიდი მნიშვნელობა არ ექმნება ქვეყნისათვისო.

სასამართლო

ეკატერინოდარის ოლქის სასამართლო. სოჩში მომხდარ უწესოებათა საქმე.

1900 წლის 27 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, რუსებსა და მეგრელებ შუა სოჩში ატყდა ჩხუბი, რომლის დროს გატეხეს გრ. ხოჩელავას დუქანი და მოიტაცეს იქიდან სხვა-და-სხვა ნივთები. მიზეზი უწესოებისა და ჩხუბისა ის გარემოება იყო, რომ მეეტლე ერმალო დავითაია ეტლით დაეტაკა მიტრისს მუზიკას (გვარია): უკანასკნელმა სხვა რუსის მუშებთან ერთად დაიჭირა დავითაია, სცემა მას და მდინარეში გადაისროლა. ამის შემდეგ, ეს მუზიკა ეტლით ქუჩაზე მიდიოდა, იგი გააჩერა ლუკა ქაჯაიამ და ჯოხით ცემა დაუწყო მას. რუსის მთვრალ მუშების ბრბო მიეშველა მუზიკას ყვირილით—„ჩვენებს სცემენო“ და დაერია ადგილობრივ მცხოვრებლებს. რუსების ამ ბრბოდან ყველაზე მეტს ყვიროდნენ ილია კაზლოვი და ვასილი ზემსკი, რომელნიც იქვე დაატუღა სოჩის ნაწილის უფროსმა კაპიტან ჟანომ. ამ დროს ამბაკო ჰითაიას დუქნის მხრიდან გამოჩნდა ადგილობრივ მცხოვრებლების ბრბო და დაუწყო ქვის სროლა რუსებს. კაპიტანი ჟანო მათკენ გაექანა და შეამჩნია მათ შორის ერთი წითელ ჩოხიანი, ერთი ჟღალ ჩოხიანი და ერთიც ნაცრის-ფერ პიჯაკში გამოწყობილი. პირველი ორი იქვე დაიჭირეს და პოლიციელებს გადასცეს.

ადგილობრივი მცხოვრებნი კიდევ გამოჩნდნენ ერთის მოსახვევიდან და დაუშინეს ქვა რუსებს და რუსებმა მათ. კაპიტანი ჟანო ხან ერთ მხარესაკენ გაიქცეოდა, ხან მეორისაკენ და სცდილობდა ხალხის დაშოშმინებას. უფროსს შეეშინდა, რომ რუსებ შორის ყველაზე მეტად უწესოდ იქცეოდა ვიღაც ნაცრის-ფერ პალტოში გამოწყობილი კაცი, რომელიც ვერ დაიჭირეს. მოულოდნელად ხოჩელავას დუქნიდან მოისმა რევოლვერის ხმა; დუქნის გაჩხრეკის დროს იქ დაიჭირეს ხოჩელავას ნოქრები, რომელთაც უნახეს ახლად გასროლილი რევოლვერი. ამბაკო ჰითაიას დუქნის მხრიდან კიდევ დაუწყეს რუსებს ქვის სროლა და ხოჩელავას დუქნიდან კი ისევ რევოლვერი ისროლეს; რუსები მიცვივდნენ ამ დუქანს და ნგრევა დაუწყეს. ჰითაიას დუქანში ბ. ჟანომ დაიჭირა ჰითაიას ნოქარი გვასალია, რომელსაც ეცვა ნაცრის ფერი პიჯაკი და შარვალი—ჟანოს ჩვენებით ამისთანა ტანისამოსით მაჩხუბართა შორის მხოლოდ იგი იყო. როცა კაპიტანი ჟანო ჰითაიას დუქანში იყო, მეზობელ დუქნის სახურავიდან გავარდა რევოლვერი და მსროლელი აღმოჩნდა მარკოზ მიქაძე. როდესაც არეულობა მეტად გაძლიერდა, ნაწილის უფროსს მიეშველა საზღვრის სადარაჯო რაზმის უფროსი ჯარის კაცებით. არეულობა თანდა-თან მიწყნარდა და როცა სრული წესიერება ჩამოვარდა, ხოჩელავამ განუცხადა ჟანოს, რომ არეულობის დროს მას მოუვიდა 170 მანეთის ზარალი.

ბ. ჟანომ მთელი ეს საქმე გადასცა მომრიგებელ მოსამართლეს, რომელმაც გადაუწყვიტა—დავითაიას, ჰითაშვილს, კვირაიას, ქაჯაიას, მიქაძეს, გვასალიას, ჩებოტაევს, იასონ და ავქსენტი ჩაჩავებს 3 კვირით პოლიციასთან დაპატიმრება, ჩაჩავებს გარდა ამისა 15 მ. ჯარიმა რევოლვერის გასროლისათვის, კაზლოვსა და ზემსკის 5 დღით პოლიციასთან დაპატიმრება. საჩივარი გ. ხოჩელავასი 170 მანეთის შესახებ უნდა დაეკმაყოფილებინა ბრალდებულთ ურთიერთის თავდებობით.

კვირაიამ, რატიშვილმა და იასონ ჩაჩავამ საპელაციო საჩივარი გადაიტანეს ოლქის სასამართლოში, რომელმაც ყველას შესახებ, გარდა გვასალიასა, დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი; გვასალია კი სრულებით გაამართლა („რუსსკ. ვედომ“.).

საღამოს დეპეშები

22 ივნისი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის გამგეს, გრაფ მუსინ პუშკინს, მიენდო მმართველობა სათავადაზნაურო და სავლეხო სახელმწიფო ბანკებისა.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება, ებოძოს დიმიტროვსკის ეპისკოპოსობა მოსკოვის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ ტრიფონს და მოსკოვის ეპარქიის ვიკარებს: მოჟაისკის ეპისკოპოსს—პირველი ვიკარობა, ხოლო დიმიტროვსკის ეპისკოპოსს—მეორე ვიკარობა.

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სონინი ინიშნება წევრად მინისტრის საბჭოსი და თავმჯდომარედ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისა.

შინაგან საქმეთა მინისტრი 21 ივნისს მიემგზავრება ზოგიერთ გუბერნიების დასათვალიერებლად; სამინისტროს თვალსაჩინო საქმეთა ხელმძღვანელობის გარდა, მიმდინარე საქმეთა გამგეობა გადასცა ხელქვეით ამხანაგებს მინისტრისას.

ხერსონი. გუბერნიაში კაი დროს მიჰყვეს ხელი პურის მკას; რიგიან მოსავალს მოელიან.

ბელგოროდი. დიდი წვიმები მოვიდა მოსკოვ-ტულა-ორიოლ-კურსკ და ბელგოროდის მხარესა. გაზაფხულის ნათესობა ზოგან გამოკეთდა.

კონსტანტინეპოლი რამდენისამე დღის წინად ალბანელი გამოჩენილი მოქალაქე ჩამოვიდა და სულთანს თხოვნა მიართვეს. თხოვნაში ალბანელები იხსენიებენ, რომ ამას წინად სულთანი ალბანიის მმართველობის შეცვლას დაგვპირდაო... ამბობენ, რომ ამ თხოვნამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სულთანზედაო.

სერბიის ელჩმა გრუიჩმა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ტევფიკ-ფაშას შეატყობინა, რომ ნოვო-ბაზარის მაზრის სოფ. სენიცის მიდამოებში ოსმალეთის ჯარები თავს-ესხმიან სერბიელებსაო და სთხოვა, რომ საჭირო დახმარება გაუწიოს სერბიელებს. ტევფიკ-ფაშამ უპასუხა, რომ ბელგრადში მყოფმა ოსმალეთის ელჩმა სერბიის მთავრობის მხრივაც ამისთანავე საჩივარი წარუდგინა პორტასაო (ოსმალეთის მთავრობაზე). მინისტრი დასძენს, რომ დიდი ვეზირი არჩევს ამ საქმესაო

დღეს ოსმალური გემით ასზე მეტი კაცი გაგზავნეს იემენში დასასახლებლად. პორტამ ნიზამის ჯარი გაგზავნა მაკრუში ოსმალეთ-საბერძნეთის საზღვარზე იმ აზრით, რომ ჩერნოგორიელებსა და ალბანელებს შუა საკუთრების თაობაზე ატეხილი დავა გადასწყვიტონ. ჩერნოგორიის ელჩი იტყობინება: მთავრობამ მომანდო, რათა პორტას მოვსთხოვო, რომ ნიზამები უკან წაიყვანოს და ჩერნოგორიის უფლება აღიაროს, თორემ შეტაკება მოხდებაო.

ბუხარესტი. გუშინ საღამოთი პალატის და სენატის უპეტესობის პარტიების კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოსმალეთთან სავაჭრო კონვენცია ხუთი წლითაა შეკრულიო, მაგრამ მისი გაუქმება 30 თვის შემდეგაც შეიძლებაო. დღეს პალატებმა დაადგინეს, რომ რუმინია-ოსმალეთის ეხლანდელი სავაჭრო კონვენციის ვადა გაგრძელებულ იქმნას, ვიდრე ახალი კონვენცია შეიკვრებაო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. იმ კითხვის შესახებ, თუ როგორ იქცევა რუსეთი მანჯურიაში, კრანბორნმა განაცხადა, რომ ჩემს წინანდელს განმარტებას მე ვერაფერს მივუმატებო.

რანდელსი (კონსერვატორი) შეეკითხა ჩემბერლენს, საჭიროდ არ მიაჩნია მას, რათა მეტის ინტერესით მოეპყრან ახალ-შენებში საიმპერიო საქმეებს, მეფეს წარუდგინოს აზრი, რამდენად ხელ-საყრელია ბრიტანიის იმპერიისათვის, მეფის ტიტული „უდიდებულესი“ იხმარებოდეს ისე, რომ ამ ტიტულში უფრო ნათლად გამოსჭვირდეს მეფური და იმპერატორული უმაღლესი მბრძანებლობა ბრიტანიის მთელ იმპერიაზე. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ახლო მომავალში შეძლება მომეცემა წარვუდგინო შესაფერი დოკუმენტები და კანონპროექტიო.

ბუენოს-აირესი. მთავრობამ სთხოვა პარლამენტს, რომ ექვსი თვის ვადით საგზღვრო წესები შემოღებულ იქმნასო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ მეორედ წაიკითხვის შემდეგ კანონი სესხის შესახებ დაამტკიცა. კამათის დროს ლლოიდ ჯორჯი და კემპბელ-ბანერმანი მკაცრად ჰკიცხავდნენ მთავრობას მასზე, რომ ბურებს სრულს დამორჩილებას სთხოვენ და ცუდს ზავის პირობებს აძლევენო. ბროდრიკი ამტკიცებს, რომ დევეტმა, დელარეიმ და ბოტამ უარჰყვეს ზავი და შემოთვალეს, რომ თუ ბურებს დამოუკიდებლობა არ შერჩებათ, ზავი შეუძლებელიაო. როგორც ბურგერი და შტეინი იტყობინებიან, კრიუგერმაც რჩევა მისცათ ბურებს, რომ ბრძოლა განაგრძონო. მთავრობას არ შეუძლიან ისეთი ზავის პირობები დასდოს ეხლა, როგორებიც შარშან უარ-ჰყო. ბალფური ამტკიცებს: ბურებს იმედი აქვთ, რომ როცა პარლამენტში ინგლის-ბურების პარტია საბოლოოდ გაიმარჯვებს, მაშინ დამოუკიდებლობა დაგვიბრუნდებაო; ამნაირად ეს პარტია ომსაც აჭიანურებს და დედაკაცებისა და ბავშვების ტანჯვასაც აძლიერებსო. კემპბელ-ბანერმანი პროტესტს აცხადებს ბალფურის სიტყვების „ინგლისბურების პარტიის“ წინააღმდეგ. ბალფური ბოდიშს იხდის.

ხარკოვი. აქაური საადგილ-მამულო ბანკის პასსივი შვიდ მილიონ ნახევრით აღემატება აქტივს.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 22 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.